# PLITONIT ჰიდროელასტი 2K



12,5 კგ + 4 კგ

✓ინარჩუნებს ელასტიკურობას -20°C-მდე ტემპერატურაზე
✓გარე და შიდა სამუშაოებისთვის
✓0,8 მმ-მდე ბზარების გადაფარვა
✓ახალგაზრდა ბეტონზე მუშაობის შესაძლებლობა
✓აქვს სასმელ წყალთან კონტაქტის ნებართვა.

PLITONIT Plitonit Deutsche Qualität

პროფესიონალად ყოფნა ადვილია

## ელასტიკური ორკომპონენტიანი ჰიდროიზოლაცია შიდა და გარე სამუშაოებისთვის

ინსტრუქციის სხვა ენაზე ჩამოტვირთვა/
Download the manual in another language
kz | az | uz | tj | kg | tm | am | ge | mn

### გამოყენების სფერო

სისტემა განკუთვნილია ბეტონის, რკინაბეტონის, აგურის ვერტიკალური და ჰორიზონტალური კონსტრუქციების დაცვისთვის გრუნტის, წვიმის წყლის ზემოქმედებისგან და წყალში მსახურობისას კონსტრუქციით ტენიანობის ფილტრაციის თავიდან ასაცილებლად.

| ზედაპირის სახეობები | იატაკი / კედლები |
|---|---|
| ბეტონი, რკინაბეტონი, უჯრედოვანი ბლოკები, აგური, ბათქაში ცემენტის საფუძველზე, ცემენტის, თაბაშირის ან კომპლექსურ საფუძველზე დამზადებული თვითსწორებადი იატაკები | + |
| თაბაშირ-მუყაოს ფილა, მარქანბოჭკოვანი ფილა, მინამაგნეზიტის ფილა | + |
| ცემენტ-ბურბუშელის ფილა, OSB, ფანერი | — |
| სუსტი და მტვრევადი ზედაპირები | — |
| **გამოყენების სფეროები** | |
| ტერასები და აივნები | + |
| შენობების ელემენტები, რომლებიც მდებარეობს მიწის დონის ქვემოთ – საძირკვლები, სარდაფები და ა.შ. | + |
| ასაწყობი და მონოლითური აუზები, 80 მ-მდე სიღრმის საყოფაცხოვრებო დანიშნულების წყლის რეზერვუარები | + |
| შემდგომი შრეების სახეობები | იატაკი / კედლები |
| წებო ფილისა და კერამოგრანიტისთვის | + |
| ბათქაში ცემენტის საფუძველზე | + |
| ცემენტის, თაბაშირის ან კომპლექსურ საფუძველზე დამზადებული თვითსწორებადი იატაკები | + |
| გამოყენება შემდგომი მოპირკეთების გარეშე (მექანიკური დატვირთვის გარეშე) | + |
| საღებავი / შპალერი | — |
| ეპოქსიდურ საფუძველზე დამზადებული თვითსწორებადი იატაკები | — |

### ზედაპირის მომზადება

ზედაპირი უნდა გაიწმინდოს მტვრისგან, ჭუჭყისგან, ზეთებისგან, ცხიმისგან, ცემენტის რძისგან და სხვა ნაწილაკებისგან, რომლებიც ხელს უშლის მასალის ზედაპირთან შეჭიდებულობას. პოლიმერული ჰიდროიზოლაციის დატანებამდე ბზარები, ნარვალები, სიცარიელები და სხვა წვეტიანი უსწორობები უნდა ამოივსოს ფითხით, ბათქაშით ან სარემონტო მასალით ცემენტის საფუძველზე, მაგალითად, PLITONIT რემსოსტავით.

შემადგენლობის წასმამდე საფუძვლის ზედაპირი წინასწარ უნდა დატენიანდეს. **დაუშვებელია მასალის სველ ზედაპირზე გამოყენება, რომელიც ექვემდებარება წყლის კაპილარულ შეღწევას (**ე.ი. წყალი არ უნდა იფილტრებოდეს ზედაპირიდან მასალის დატანიდან მინიმუმ 3 დღე-ღამის განმავლობაში).

### ხსნარის ნარევის მომზადება

**პროდუქტი შედგება მშრალი და თხევადი კომპონენტებისგან. 1 კგ მშრალ კომპონენტზე საჭიროა 0,32 ლიტრი თხევადი კომპონენტი. სრული კომპლექტის ადუღაბებისას საჭიროა ორი პაკეტის შიგთავსის შერევა 4-ლიტრიანი კასრის სითხესთან.**

| | |
|---|---|
| 1 | თხევადი კომპონენტი ჩაასხით შესარევ კონტეინერში (შეგიძლიათ, გამოიყენოთ სათლი, რომელშიც მთელი კომპლექტია შეფუთული), დაამატეთ მას მშრალი კომპონენტი |
| 2 | მოურიეთ მშრალ ნარევსა და წყალს 2-3 წუთის განმავლობაში ელექტრო მიქსერით ან პირიანი ელექტრო ბურღით ერთგვაროვანი კონსისტენციის მიღებამდე*** |
| 3 | მიეცით ხსნარს 5 წუთი დალექვის საშუალება და მოურიეთ ხელახლა |
| 4 | გამოიყენეთ მზა ნარევი 60 წუთის განმავლობაში. |

*** ბრუნვის სიხშირე არაუმეტეს 600 ბრ/წთ. **ხელით შერევა დაუშვებელია!**

### სამუშაოების ჩატარების წესი

| | |
|---|---|
| 1 | მასალის პირველი შრე ისმევა შეღებვის მეთოდით საბათქაშე ფუნჯის ან სახურავი ჯაგრისის გამოყენებით. |
| 2 | ჰიდროიზოლაციის ყოველი მომდევნო შრე ისმევა წინა შრის გამაგრების შემდეგ ფუნჯის ან ფითხის გამოყენებით. პირველი შრის გამაგრების დრო 2-3 საათი, ყოველი მომდევნოს0 - 3-6 საათი. |
| ! | მასალა უნდა იქნას წასმული არანაკლებ 2 შრედ. |
| ! | დატანის ერთი შრის მაქსიმალური სისქე - 3 მმ<br>დატანის ერთი შრის მინიმალური სისქე - 1 მმ |
| ! | შემდგომი შრეების წასმისას აუცილებელია ჯვარედინი დატანის წესის დაცვა: შრესთან მუშაობისას ხელსაწყოს მოძრაობის მიმართულება უნდა იყოს წინა შრის მიმართულების პერპენდიკულარული |

**"იატაკისა და კედლის" შეუღლების ადგილებში, ასევე მილებთან და სანიაღვრე ხვრელებთან კონტაქტის ზონაში სამუშაოების ჩატარებისას, მაგალითად, საშხაპე ან სააბაზანო ოთახის ჰიდროიზოლაციისას, რეკომენდირებულია ელასტიკური ჰიდროსაიზოლაციო ლენტების გამოყენება, მაგალითად, PLITONIT ჰიდროლენტის.**

### ტექნიკური მახასიათებლები

| | |
|---|---|
| **მშრალი კომპონენტისთვის** | |
| შემავსებლის მაქსიმალური ზომა | 0,63 მმ |
| **თხევადი კომპონენტისთვის** | |
| მშრალი ნარჩენი | არანაკლებ 40% |
| pH | 7-8,5 |
| სიბლანტე | 10-15 წამი |
| **გამოსაყენებლად მზა ხსნარისთვის** | |
| ხსნარის ნარევის გამოყენების დრო | არაუმეტეს 60 წუთი |
| ნარევის ხარჯი 1 მმ სისქის შრეზე | 1,4-1,5 კგ/მ2 |
| **გამაგრებული ხსნარისთვის** | |
| წყალშეუღწევობის მარკა წყლის პირდაპირი წნევის დროს | არანაკლებ W8 |
| წყალშეუღწევობის მარკა წყლის საპირისპირო წნევის დროს | არანაკლებ W4 |
| ხსნარის ზედაპირთან შეჭიდებულობის სიმტკიცე | არანაკლებ 1,0 მპა |
| შეფარდებითი წაგრძელება გაწყვეტისას | არანაკლებ 10% |
| ბზარების სისქით გადახურვა | 0,8 მმ-მდე |
| ექსპლუატაციის ტემპერატურა | -20°C-დან +70°C-მდე |
| ხსნარის მე-3 ხარისხამდე გამაგრების დრო | არაუმეტეს 6 საათი |
| შემდგომი სამუშაოების ჩატარების შესაძლებლობა | 3 დღე-ღამის შემდეგ |
| სასმელ წყალთან კონტაქტი | ნებადართულია |
| ბუნებრივი რადიონუკლიდების ხვედრითი ეფექტური აქტივობა | არაუმეტეს 370 ბკ/კგ |

### დატანის შრეების რაოდენობა და ხარჯი

| გამოყენების სფერო | შრეების რაოდენობა | საფარის საერთო სისქე, მმ | ხარჯი, კგ/მ² |
|---|---|---|---|
| საშხაპეს/აბაზანის იატაკი | 2 | 2 | 3 |
| ტერასები და აივნები | 2 | 2 | 3 |
| საძირკვლები, სარდაფები და ა.შ. | 2-3 | 2-3 | 3 - 4,5 |
| ასაწყობი და მონოლითური აუზები | 3 | 3 | 4,5 |

### სამუშაოების ჩატარების პირობები

სამუშაოების ჩატარებისას და შემდგომი 3 დღე-ღამის განმავლობაში ჰაერის ტემპერატურა უნდა იყოს +10°C-დან +30°C-მდე ფარგლებში. ხსნარის ნარევისა და ზედაპირის ტემპერატურა სამუშაოების ჩატარების პროცესში – +10°C-დან +30°C-მდე. სამუშაოების ჩატარებისას ზედაპირი დაცული უნდა იყოს ატმოსფერული ნალექებისა და მზის პირდაპირი სხივებისგან. დაუშვებელია გაყინულ ზედაპირზე წასმა.

### ყურადღება

ერთ სამუშაო გავლაზე შრის დასაშვები სისქის გადაჭარბებამ შეიძლება, გამოიწვიოს ჩაჯდომის ბზარების წარმოქმნა ჰიდროსაიზოლაციო საფარის გარე ზედაპირზე. სამუშაოების ჩატარების პროცესში რეკომენდებულია ხსნარის ნარევის დროდადრო მორევა. მითითებული დროითი მახასიათებლები მოქმედებს გარემოს 20±2°C ტემპერატურაზე, ჰაერის 60±10% ფარდობით ტენიანობაზე და სხვა ტემპერატურულ და ტენიანობის პირობებში შეიძლება, შეიცვალოს. შემდგომი მოსაპირკეთებელი სამუშაოების ჩატარება რეკომენდირებულია ზედაპირის დეფექტების არარსებობის კონტროლისა და წყლის გაფილტვრის შემდეგ (დაახლოებით, სამი დღე-ღამის შემდეგ). დეფექტების აღმოჩენის შემთხვევაში (ბზარები, აქერცვლა, წყლის ფილტრაცია) ეს ადგილები უნდა გაიხსნას და სამუშაოები - განმეორდეს. ჰიდროსაიზოლაციო საფარის დატანის სამუშაოები ტარდება უწყვეტად, ცივი ნაკერების წარმოქმნის გარეშე.

### უსაფრთხოების ზომები

მასტიკა მიეკუთვნება საშიშროების მე-4 კლასს (მცირე საშიშროების მქონე ნივთიერებები) სახელმწიფო სტანდარტის 12.1.007-ის შესაბამისად

| |
|---|
| **სამუშაოების შესრულებისას გამოიყენეთ ხელთათმანები, დამცავი სათვალეები, სასუნთქი ორგანოების დამცავი საშუალებები** |
| **მოერიდეთ ნარევის კანზე და თვალებში მოხვედრას. თვალში მოხვედრის შემთხვევაში დაუყოვნებლივ ამოიბანეთ წყლის დიდი რაოდენობით და მიმართეთ ექიმს.** |
| **მოარიდეთ ბავშვებს!** |

### შემადგენლობა

მშრალი კომპონენტი: პორტლანდცემენტი, მამოდიფიცირებელი და ჰიდროფობიზირებადი დანამატები, მიკრობოჭკოები. თხევადი კომპონენტი: წყალი, ლატექსის დისპერსია, დანამატები.

### ტრანსპორტირება და შენახვა

ნარევის ტრანსპორტირება უნდა მოხდეს დახურულ სატრანსპორტო საშუალებებში ტვირთების გადაზიდვის წესების შესაბამისად. მშრალი კომპონენტისთვის: ტომრები მშრალი ნარევით შეინახეთ დახურულ მშრალ შენობა-ნაგებობებში, რომლებიც უზრუნველყოფს შეფუთვის დაცულობას და დაცვას დატენიანებისგან; თხევადი კომპონენტისთვის: შეინახეთ დახურულ მშრალ შენობა-ნაგებობებში პირობებში, რომლებიც უზრუნველყოფს შეფუთვის დაცულობას არანაკლებ +5°C ტემპერატურაზე. შენახვის ვადა მწარმოებლის ტარაში – 12 თვე დამზადების დღიდან.

### მწარმოებლის გარანტია

მწარმოებელი იძლევა გარანტიას, რომ ნარევი შეესაბამება ტექნიკური პირობების მოთხოვნებს, თუ მომხმარებელი დაიცავს ტრანსპორტირების, შენახვისა და ამ ინსტრუქციის მითითებებს. მწარმოებელი არ არის პასუხისმგებელი მასალასთან მუშაობის ტექნოლოგიის შეუსრულებლობის შემთხვევაში, ასევე მისი გამოყენებისთვის იმ მიზნებსა და პირობებში, რომლებიც არ არის გათვალისწინებული მიცემული ინსტრუქციით. წონა ნეტოდან გადახრა შეესაბამება სახელმწიფო სტანდარტ 8.579-2001-ს. პროდუქცია გამოყენება ნებადართულია სამოქალაქო მშენებლობის ყველა სახეობაში (ბუნებრივი რადიონუკლიდების ეფექტური ხვედრითი აქტივობა<370 ბკ/კგ; "რადიაციული უსაფრთხოების ნორმების" (რადიაციული უსაფრთხოების ნორმები-99/2009) სანიტარული წესებისა და ნორმების 2.6.1.2523–09-ის I კლასის მიხედვით).


**მომხმარებელთა მხარდაჭერის სამსახური**

8 (800) 555 - 71 - 67

www. plitonit.ru

e-mail: info@mc-bauchemie.ru